ყოველკვირეული დაიჯესტი ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმში

23 სექტემბერი -13 ოქტომბერი, 2023

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ჰამასის ჰიბრიდული ომი

ტერორისტული ორგანიზაცია ჰიზბულ ლ-ლაჰი (შემოკლ. „ჰამასი“),საკუთარი პროპაგანდის გასავრცებლად აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, განსაკუთრებით კი ტელეგრამს. სოციალური ქსელების მილიონობით მომხმარებელს აქვთ პირდაპირი წვდომა ჰამასის პრესრელიზებსა და განცხადებებზე.

09.10.2023

ისრაელის თავდასხმა ლიბანზე

ისრაელის ლიბანზე თავდასხმას ემსხვერპლა ტერორისტული დაჯგუფების ჰიზბულ ლ-ლაჰის („ჰეზბოლა“) სამი ლიბანელი წევრი და ერთი სამხედრო პირი. ძალადობა მოჰყვა პალესტინელი ბოევიკეპის საზღვრისპირა დარბევას, რამაც შეტაკებები და მსვერხპლი გამოიწვია. ისრაელის არმიამ მოგვიანებით განაცხადა რომ დაპირისპირებას ემსხვერპლა არმიის მეთაურის მოადგილე, ლეიტენანტ-პოლკოვნიკი ალიმ აბდულა.

10.10.2023

ირანის როლი ჰამასის თავდასხმაში

ამერიკის ოფიციალური პირები იკვლევენ აქვს თუ არა კავშირი ირანს ისრაელისა და ჰამასის დაპირისპირებაში და მიიღეს თუ არა ტერორისტული დაჯგუფების, ჰიზბულ ლ-ლაჰის წევრებმა სპეციალური წვრთნები ირანის ისლამური რევოლუციური გვარდიისგან(IRGC). თავდასხმა, რომელიც ჰეზბოლამ განახორციელა, იყო მეტად ზუსტი და დაგეგმილი ვიდრე აქამდე განხორციელებული ნებისმიერი თავდასხმა, რაც, ამერიკელი მკვლევარების აზრით, შეუძლებელია ჰამასს დამოუკიდებლად განეხორციელებინა.

11.10.2023

იემენის ჰუსიტების პოზიცია ღაზა სექტორში მიმდინარე მოვლენებზე

იემენის ჰუსიტების ლიდერმა, აბდელ-მალეკ ალ-ჰუსიტმა განაცხადა, რომ თუ ამერიკის შეერთებული შტატები პირდაპირ ჩაერთვება ღაზას კონფლიქტში, ამ ქმედებას უპასუხოდ არ დატოვებენ. ჰუსიტები მზად არიან ითანამშრომლონ სხვა ჯგუფებთან, თუ ამერიკის შეერთებული შტატები ამ კონფლიქტში ჩაერთვება.

11.10.2023

დაპირისპირების მხვერპლი ღაზას სექტორში

ისრაელის მიერ ასობით პუნქტის აფეთქება მოხდა ღაზაში, რასაც საბოლოოდ, მხოლოდ ღაზაში ამჟამინდელი მონაცემებით ემსხვერპლა 950 ადამიანი, აქედან 260 ბავშვი და 230 ქალი, დაშავდა 5000-ზე მეტი ადამიანი. ისრაელში გარდაცვლილთა რიცხვმა 1200-ს მიაღწია, 2900 კი

მნიშვნელოვნად დაშავდა. ღაზას სინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ღაზა ჩაკეტილი ზონაა და არ არსებობს გზა, საიდანაც ხალხი ევაკუაცია შესაძლოა მოხდეს.

11.10.2023

ევროკავშირი დეფინფორმაციის წინააღმდეგ

ევროკავშირი ტექნოლოგიურ კომპანიებს მიმართავს, რომ მუდმივად და სწრაფად მოხდეს ტერორისტულ ორგანიზაცია ჰიზბულ ლ-ლაჰთან (შემ."ჰამასი") დაკავშირებული ინფორმაციის წაშლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მკაცრი სამართლებრივი შედეგების წინაშე აღმოჩნდებიან. მკაცრი ზომების მიღების აუცილებლობა ისრაელ-ღაზას კონფლიქტის დროს, დეზინფორმაციის გაზრდის შემდეგ გაჩნდა. ევროკავშირის ინდუსტრიის ხელმძღვანელი ტიერი ბრეტონი მოუწოდებს ელონ მასკდა და მარკ ცუკერბეგს, შეაჩერონ დეზინფორმაციული ინფორმაციის გავცელება საკუთარ პლატფორმებზე და ახსენებს ყველა სოციალურ მედიას, წაშალონ ჰამასთან დაკავშირებული ნებიმიერი სახის კონტენტი.

12.10.2023

უპრეცენდენტო ევაკუაცია ღაზაში

ისრაელის არმია მოუწოდებს ერთ მილიონ პალესტინელს, რომ დატოვონ ჩრდილოეთ ღაზა და გაემართნონ ალყაში მოქცეული ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში. ეს მოწოდება გაჟღერდა რამდენიმე დღით ადრე, სანამ წინასწარ დაგეგმილი სახმელეთო თავდასხმა განხორციელდებოდა ტერორისტულ დაჯგუფება ჰამასზე.

12.10.2023

ინდოეთის მიერ ჰამასის თავდასხმის ტერორისტულ აქტად აღიარება

ინდოეთმა ტერორისტული დაჯგუფება ჰამასის თავდასხმა ისრაელზე ტერორისტულ თავდასხმად აღიარა, მაშინ როცა, ქვეყნი საგარეო საქმეთა მინისტრი ინარჩუნებს მის პოზიციას პალესტინის დამოუკიდებლობის მიმართ. ინდოეთი ერთის მხრივ გამოხატავს თანადგომას ისრაელის მიმართ ამ საკრალურ მომენტში, მეორეს მხრივ კი ხაზს უსვამს პალესტინის დამოუკიდებლობის მნიშვნელობას.

13.10.2023

ამერიკის მხარდაჭერა ისრაელს

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი თელავივში გამართულ შეხვედრაზე საჯაროდ გამოხატავს ისრაელი მხარდაჭერას და ხაზს უსვამს, რომ ჰამასის თავდახმა იყო ბრუტალური, არაჰუმანური აქტი. ამერიკის შეერთებული შტატები აქტიურად იღებს მონაწილეობას და მოუწოდებს მსოფლიო სახელმწიფოებს, მონაწილეობა მიიღონ მძევალთა გათავისუფლების პროცესში, რომლებიც ჰამასის მიერ არიან დატყვევებულნი.

13.10.2023

აფეთქება ცენტრალურ სომალიში

ბელედუეინში, ცენტრალური სომალის ერთ-ერთ ქალაქში, დანაღმული ავტომობილის აფეთქებას ემსხვერპლა ათი ადამიანი, მათგან ხუთი პოლიციელი, რომლებმაც უშედეგოდ სცადეს შეეჩერებინათ საკონტროლო პუნქტისკენ მიმავალი ავტომობილი, დაშავდა ათობით ადამიანი და განადგურდა ახლოს მდებარე შენობები. აფეთქებაზე პასუხისმგებლობა ამ დრომდე არ აუღია არც ერთ ტერორისტულ დაჯგუფებას, მაგრამ ისლამური ორგანიზაცია "ჰარაკატ ალ-შაბაბ ალ-მუჯაჰიდინ" (შემოკლ. „ალ-შაბაბი") (ქართ. „ახალგაზრდები / ახალგაზრდობა") გამოირჩევა აფრიკის ამ ნაწილში აქტიურობით.

23.09.2023

გამნაღმველი ოპერაცია თეირანში

თეირანის ტერიტორიაზე ირანის ხელისუფლებამ გაუვნებელყო 30 ნაღმი, რომელიც ერთდროულად უნდა აფეთქებულიყო და დააკავა როგორც ისლამურ სახელმწიფოსთან („დაეში"), ასევე, ტაკფირის ჯგუფებთან სირიაში, ავღანეთში, პაკისტანსა და ქურთისტანში, დაკავშირებული 28 ტერორისტი.

24.09.2023

აშშ-ს კონტრტერორისტული ოპერაცია ჩრდილოეთ სირიაში

აშშ-ს ცენტრალურმა სარდლობის ძალებმა, ჩრდილოეთ სირიაში ვერტმფრენით რეიდისას დააკავეს ისლამური სახელმწიფოს („დაეში") ოპერაციებისა და ფასილიტაციის ჯგუფის მაღალი რანგის წარმომადგენელი აბუ ჰალილ ალ-ფადანი, რომელსაც რეგიონში „დაეშის" ყველა ჯგუფთან ჰქონდა კავშირი.

25.09.2023

თურქეთის პოლიციის ანტი-ტერორისტული ოპერაცია

თურქეთის პოლიციამ იზმირში განხორციელებული სამძებრო ოპერაციისას დააკავა ათი ადამიანი, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ტერორრისტულ ორგანიზაცია ისლამურ სახელმწიფოსთან („დაეში"). ქალაქ ბორნოვაში სამძებრო ოპერაციისას აღმოჩენილი იქნა ასევე ასაფეთქებელი ნივთიერებები, იარაღები და საბრძოლო მასალა.

25.09.2023

შეტაკება ღაზას სექტორში

ისრაელის სამხედროებმა ღაზას სექტორში სამხედრო ოპერაცია წამოიწყეს, რომლის მთავარი სამიზნეც „ჰარაკატ ალ-მუქავარმა ალ-ისლამიაა" („ჰამასი"). დაშავდა რამდენიმე მეამბოხე და

ორი პალესტინელი, საბურავების დაწვისა და ქვების სროლის საპასუხოდ, ჯარისკაცებმა ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს.

25.09.2023

კონტრტერორისტული ოპერაცია პაკისტანში

ჩრდილო-დასავლეთ პაკისტანის ლიდერების განცხადებით პეშავარში განხორციელებული კონტრტერორისტული ოპერაციის შედეგად დაკავებული იქნა ოთხი, ეროვნებით ავღანელი, ისლამური სახელმწიფო(„დაეში“) ხორასანთან (IS-K) დაკავშირებული პირები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქში დაგეგმილ თავდასხმებზე, რომელთა სამიზნეც უსაფრთხოების ძალები და რელიგიური უმცირესობის ჯგუფები იყო.

27.09.2023

კონტრტერორისტული ოპერაცია ქაშმირში

ჯამუ და ქაშმირის პოლიციამ დააკავა „ლაშქარ-ე-თაიბასას („წმინდათა არმია“)(LeT) წევრი ტერორისტი და მასთან დაკავშირებული ხუთი პირი, ერთი ქალი და ერთი არასრულწლოვანი ბავშვი, რომლებიც სასაზღვრო თავდასხმების მონაწილეები იყვნენ.

27.09.2023

იამად იასინის სასამართლო

ლიბანის სამხედრო სასამართლომ,იმად იასინს, ტერორისტულ ორგანიზაცია ისლამური სახელმწიფოს („დაეში“) წევრს, უსაფრთხოების ძალებზე სასიკვდილო თავდასხმების განხორციელებისა და დაგეგმვის ბრალდებით 160 წლიანი პატიმრობა შეუფარდა. იამად იასინმა აღიარა 11 ბრალდება, მათ შორის ტერორისტული ორგანიზაციის წევრობა, პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკში განხორციელებული ძალადობა და სხვადასხვა სამიზნეებზე თავდასხმების დაგეგმვა.

28.09.2023

ორმაგი აფეთქება სომალიში

ორმაგი აფეთქება მოხდა ქალაქ დუსამარებში, გალგუდის რეგიონულ დედაქალაქში, სომალიში, რომლის სამიზნეც ქალალის მთავარ აეროორტამდე და სამხედრო ბაზამდე მისასვლელი მთავარი, გადატვირთული გზა იყო. აფეთქებას, რომელიც სავარაუდოდ „ჰარაკატ ალ-შაბააბ ამ-მუჯაჰიდინ“ („ალ-შაბააბი“) მიერ იყო ორგანიზებული, დიდი ინფრასტრუქტურული ზიანი მოყვა, დაზარალებულთა ან გარდაცვლილთა რაოდენობა ამჟამინდელი მონაცემებით უცნობია.

28.09.2023

სუიციდური ტერორისტული აქტი პაკისტანში

სამხრეთ-დასავლეთ პაკისტანში, მასტუნგში, რელიგიური მსვლელობის დროს სუიციდურ ტერორისტულ აქტს ემსხვერპლა 42 და დაშავდა ათობით ადამიანი. ტერორისტული აქტის სამიზნე, იყო მუსლიმი ერთეულები, რომლებიც წინასწარმეტყველ მუჰამედის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ მეჩეთის მახლობლად. არც ერთ ტერორისტულ დაჯგუფებას თავდასხმაზე პასუხისმგებლობა არ აუღია, თუმცა ტერიტორია ცნობილია IS-K-თან (ისლამური სახელმწიფო ხორასანში) დაკავშირებული ჯგუფების სიმრავლით.

29.09.2023

ავღანეთის თალიბანის კონტრტერორისტული ოპერაცია

ავღანეთის თალიბანმა აკრძალული ტერორისტული დაჯგუფების „თეჰრიკ-ე-თალიბანის“ („პაკისტანის თალიბანი“ (TTP) ორასი ტერორისტი დააკავა. ეს არის ავღანეთის თალიბანის მიერ განხორციელებული პირველი ქმედება TTP-ს წინააღმდეგ.

29.09.2023

სუიციდური აფეთქება სომალიში

ჩაის მაღაზიის წინ განხორციელებულ სუიციდურ ტერორისტულ აფეთქებაზე სომალიში, რომელსაც სულ მცირე შვიდი ადამიანი ემხვერპლა, პასუხისმგებლობა ალ კაიდასთან დაკავშირებულმა ალ-შაბააბის დაჯგუფებამ აიღო.

29.09.2023

კონტრტერორისტული ოპერაცია ისრაელში

ტერორისტულ ორგანზიაცია ჰარაკატ ალ-მუქავარმა ალ-ისლამიას(შემოკ.“ჰამასი“)
წევრი, რომელიც მონაწიელობას იღებდა დასავლეთ სანაპიროებში განხორციელებულ აფეთქებებში და სამხედრო დანაყოფებზე თავდასხმაში, ისრაელის სამხედროების მიერ იქნა ლიკვიდირებული.

30.09.2023

ტერორისტული აფეთქება ანკარაში

კვირას, ანკარაში, თურქეთის სამთავრობო შენობების წინ აფეთქება მოხდა, რომელსაც ორი თავდამსხმელი ემსხვერპლა და დაიჭრა ორი პოლიციელი. აფეთქებაზე პასუხისმგებლობა ქურთთა სამხედრო დაჯგუფებამ აიღო.

01.10.2023

სატესტო სარაკეტო თავდასხმა ხმელთაშუა ზღვაში

ღაზას სექტორიდან განხორციელდა რამდენიმე სატესტო სარაკეტო თავდასხმა ხმელთაშუა ზღვის მიმართულებით, რამდენიმე დღის შემდეგ, რაც დროებით შეჩერდა ღაზა-ისრაელის საზღვართან მიმდინარე არეულობები, მათ შორის აფეთქებები. ხუთ სატესტო აფეთქებაზე, რომელმაც სამხრეთ ისრაელის სამხედრო მზადყოფნაში მოყვანა გამოიწვია, პასუხისმგებლობა პალესტინის ისლამურმა ჯიჰადმა აიღო.

03.10.2023

ანტიტერორისტული სადაზვერვო ოპერაცია პაკისტანში

ტერორისტულ ორგანიზაცია „თეჰრიკ-ე-თალიბანის“ (პაკისტანის თალიბანი) (TTP) სულ მცირე ათი ტერორისტის ლიკვიდირება მოხდა პაკისტანის თავდაცვის ძალების სადაზვერვო ოპერაციის შედეგად ხაიბერ-პახტუნხვაში. უსაფრთხოების ძალებმა ოპერაციის შემდეგ ტერორისტებისგან იარაღი, საბრძოლო მასალისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების დიდი მარაგი მოიპოვეს.

04.10.2023

შეიარაღებული დპაირისპირება ღაზას სექტორში

ტულკარემის ლტოლვილთა ბანაკში ისრაელის სამხედრო ძალების მიერ განხორციელებულ რეიდს შეიარაღებული დაპირიპსირება მოჰყვა, რომელსაც ემსხვერპლა ორი მებრძოლი და დაშავდა ხუთი სამხედრო პირი. ტერორისტულმა დაჯგუფებამ ჰარაქათ ალ-მუქავარმა ალ-ისლამიასმა (ჰამასი), რომელიც მართავს ღაზას სექტორს, ორი ლიკვიდირებული მათ წევრად გამოაცხადა.

04.10.2023

დრონის თავდახმა სირიაში

ასაფეთქებელი დრონით თავდასხმას სირიაში, სამხედრო სასწავლებელში კურსდამთავრებულთათვის მიძღვნილ ცერემონიაზე, სულ მცირე 116 მოქალაქე ემსხვერპლა. სირიის არმიამ აფეთქებაზე პასუხისმგებლად საერთაშორისო ძალების მიერ მხარდაჭერული

ტერორისტული დაჯგუფებები გამოაცხადა, მაგრამ ამ დრომდე, თავდასხმაზე პასუხისმგებლობა არც ერთ ტერორისტულ დაჯგუფებას არ აუღია.

07.10.2023

თავდასხმა ისრაელზე

ღაზას სექტორში მოქმედმა ტერორისტულმა დაჯგუფებამ ჰარაქათ ალ-მუქავარმა ალ-ისლამიასმა(„ჰამასი“) ისრაელში სარაკეტო და სახმელეთო იერიშები წამოიწყეს, რომელსაც სულ მცირე 300 ადამიანი ესმხვერპლა და დაშავდა 1800-ზე მეტი ადამიანი. „ჰამასმა“ განაცხადა, რომ მათ ისრაელის წინააღმდეგ ახალი საოპერაციო ოპერაცია წამოიწყეს, რომელსაც „ალ-აქსას ქარიშხალი“ უწოდეს. ადგილობრივი დროით 7 აათზე დაწყებული თავდასხმა ამ დრომდე გრძელდება, საჰაერო განგაში ჩაირთო ღაზას სექტორიდან 70 კილომეტრით დაშორებულ ქალაქებში და თელ-ავივში.

07.10.2023